

მზრუნველ და კეთილგანწყობილ გარემოში გაზრდილი ბავშვი ბედნიერი, ჯანმრთელი და წარმატებულია, როგორც ბავშვობაში, ისე ზრდასრულ ასაკში.

# ბათუმის ბავშვთა დახმარების ცენტრი



ეხმარება ბავშვს, მშობელს, ოჯახის წევრებს, ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებს, ყველას, ვინც წუხს ბავშვის კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე.

**მომსახურება უფასოა**

ტელეფონი: 225 830
ბავშვთა დახმარების ხაზი: 116 111
მისამართი: ქ. ბათუმი. ტაბიძის 2ა.

PHMDF
DEFENCE for CHILDREN International
ecpat

პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდის ორგანიზებით.
პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალა არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ თვალსაზრისს. პასუხისმგებლობა პუბლიკაციის შინაარსზე ეკისრება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდს.





## ბათუმის ბავშვთა დახმარების ცენტრი ეხმარება:

ბავშვს - ძალადობის შედეგად მიღებული ზიანის დაძლევაში. თავისი ძლიერი მხარეების გაცნობიერებასა და განვითარებაში.

მშობლებს, ოჯახის წევრებს - პოზიტიური მშობლობის უნარების გაუმჯობესებაში.

მშობლებს, ოჯახის წევრებს - ძალადობაგადატანილი ბავშვის მხარდაჭერაში.

ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებს - ძალადობის ამოცნობასა და შესაბამის რეაგირებაში

ყველას, ვინც წუხს ბავშვის კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე. . .



## ჩვენ, ყველანი, მხოლოდ საუკეთესოს ვუსურვებთ ჩვენს ბავშვებს

ღიახ, ეს ასე უნდა იყოს და მაინც, ძალიან ბევრმა რამემ შეიძლება ხელი შეუშალოს ჩვენი ბავშვების სრულფასოვან განვითარებას, მათ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, საფრთხე შეუქმნას მათ სიცოცხლეს.

ზოგჯერ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვაკეთებთ საუკეთესოს, ვზრუნავთ შვილის მომავალზე, მაგრამ შედეგად საპირისპიროს ვიღებთ, რაც ხშირად ბავშვისადმი არასწორი დამოკიდებულებით არის გამოწვეული.

ზოგიერთ ბავშვს სასტიკად სწორედ მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი ეპყრობა; ზოგი - მშობლების მუდმივი ჩხუბების შემყურე იზრდება; ზოგი ძალადობას ქუჩაში შეესწრო; ზოგიერთის თვალწინ მისი საყვარელი ადამიანი მოკლეს...

**უფროსები ხშირად ფიქრობენ, რომ ბავშვებს ბევრი არაფერი გაეგებათ, მაგრამ ბავშვებს, ჩვეულებრივ, გაცილებით მეტი ესმით, ვიდრე უფროსებს წარმოუდგენიათ.**

**ყოველთვის სასარგებლოა, მოვუსმინოთ ბავშვებს და ვაგრძნობინოთ, რომ ყველაფერს ვაკეთებთ მათი უსაფრთხოებისთვის.**
**ბავშვები მათთვის მძიმე, გაუგებარ გრძნობებს უმეტესად ქცევით გამოხატავენ და არა სიტყვებით.**

## როდის სჭირდება ბავშვს დახმარება

- როცა ფიზიკურ ტკივილს აყენებს საკუთარ თავს ან სხვებს;
- როცა ეშინია მოზრდილი ადამიანების;
- როცა ფრთხება სხვა ადამიანის მოულოდნელ მოძრაობაზე;
- როცა ავლენს შიშს სხვა ბავშვების ტირილზე;
- როცა აფრთხობს მოულოდნელი ხმები;
- როცა ბავშვი საკუთარ თავზე ამბობს, რომ "ცუდია", "საზიზღარია";
- როცა აგრესიულად იქცევა, მუდმივად გაღიზიანებულია;
- როცა ხაზგასმულად დამჯერეა, მორჩილია, პასიურია, არ ავლენს ინიციატივას;
- როცა სისასტიკეს იჩენს ცხოველების მიმართ;
- როცა ასაკისთვის შეუფერებელ სექსუალურ ცოდნას ავლენს;
- როცა მისი აკადემიური მოსწრება უეცრად უარესდება;
- როცა თანატოლებთან ურთიერთობა უჭირს;
- როცა შეიმჩნევა წვრილმან ქურდობებში;
- როცა დაძინება უჭირს, ღამით ხშირად ყვირილით, შეშინებული იღვიძებს;
- როცა ერთ-ერთი მშობელი ძალადობის მსხვერპლია....



## რა არის ბავშვზე ძალადობა

ნებისმიერი ქმედება, რომელიც აკნინებს ან დაზიანებით ემუქრება ბავშვის ფსიქიკურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას და განვითარებას.

## ბავშვზე ძალადობის ფორმები

**ფიზიკური ძალადობა** - დარტყმა, ხელის კვრას, სხეულის დაზიანება ან ტრავმის მიყენების მცდელობა, სილის გაწვნა, წამოთაქება ან სხვა ფიზიკური ზემოქმედება, თუნდაც აღმზრდელობითი მიზნით.

**ფსიქოლოგიური ძალადობა** - დამამცირებელი მეტსახელით მიმართვა, მუქარა, ბავშვის შეკითხვის უპასუხოდ დატოვება, სამომავლო ქცევის უარყოფითი პროგნოზი, ისეთი საქციელის დაბრალება, რომელიც მას არ ჩაუდენია და სხვა. ძალადობის ერთერთ ფორმას წარმოადგენს მოზრდილთა ჩხუბი ბავშვის თანდასწრებით

**სექსუალური ძალადობა** – ეროტიული ელფერის ალერსი, სექსუალური მეტყველებით თუ შენიშვნებით დევნა, პორნოგრაფიული სურათების და ფილმების ჩვენება, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღება, გაუპატიურება, სისხლის აღრევა (ინცესტი) და სხვა.

**უგულებელყოფა** – ბავშვს არ უზრუნველყოფენ ყველაზე აუცილებლით: ნორმალური კვებით, საცხოვრებლით, განათლების მიღების შესაძლებლობით ან სამედიცინო დახმარებით, ტოვებენ დაუცველს, მეთვალყურეობის, ნათესავებისა და მეგობრების ემოციური მხარდაჭერის გარეშე.



## რას განიცდის ბავშვი

- მარტოობას – თავს მიტოვებულად და მარტოსულად გრძნობს;
- საკუთარ ზედმეტობასა და უღირსობას – თავს უმნიშვნელო და უღირს ადამიანად თვლის, რომელიც ყურადღებას არ იმსახურებს;
- თანატოლებისგან განსხვავებულობას – თვლის, რომ "სხვანაირია და მისი ცხოვრებაც იმიტომ არის განსხვავებული";
- საკუთარ ბრალეულობას – ძალადობრივი, შეურაცხმყოფელი საქციელის მიზეზს საკუთარ თავში ეძებს: "რაღაც არასწორად გავაკეთე", "ჩემი ბრალია, ასე არ უნდა მეთქვა" და ა.შ.;
- საკუთარი ოჯახის მიმართ გაუცხოებას – თვლის, რომ ოჯახში მისი არ ესმით და მეგობრებს ოჯახს გარეთ ეძებს;
- სირცხვილს, ბრაზს, სასოწარკვეთას, სიძულვილს, შიშს, გრძნობების ქაოსს...

ძალადობაგანცდილი ბავშვი მუდმივი სტრესის მდგომარეობაში იმყოფება, და თუ დახმარების გარეშე დავტოვებთ, უკვე მოზრდილ ცხოვრებაში ეს მასში სერიოზულ პიროვნულ გადახრებს, შეუქცევად ფსიქოლოგიურ პრობლემებს გამოიწვევს.

დაეხმარეთ ბავშვს თვითშეფასების ამაღლებაში. ძალადობაგანცდილი ბავშვები საჭიროებენ ყოველდღიურ შეხსენებას, რომ ისინი კარგები, ჭკვიანები და მნიშვნელოვანნი არიან;

## იყავით ბავშვთან, როცა მას ძალიან სჭირდებით

- დახმარება ურთიერთობიდან იწყება. მზრუნველი უფროსი - საუკეთესო ფაქტორია, რომელიც ბავშვს დაეხმარება თავი უსაფრთხოდ იგრძნოს;
- ბავშვს საუბრის საშუალება მიეცით. ამით ის მოახერხებს, მის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ გითხრათ;
- გასაგებად და მარტივად უთხარით, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ არის მომხდარში დამნაშავე;



- აგრძნობინეთ და უთხარით ბავშვს, რომ ის მარტო არ არის და თქვენ ყველაფერს გააკეთებთ იმისათვის, რომ ძალადობა აღარ განმეორდეს;

- აუხსენით, რომ მისი პრობლემების მოგვარება შესაძლებელია და რომ ამისათვის გზები და საშუალებები არსებობს;

**თუ თქვენ ღელავთ რომელიმე ბავშვის გამო, გახსოვდეთ, რომ თქვენ მის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეგიძლიათ. მოგვმართეთ დახმარებისთვის:**



ტელეფონი: 225 830

ბავშვთა დახმარების ხაზი: **116 111**

მისამართი: ქ. ბათუმი. ტაბიძის ტაბიძის 2ა.

**ბათუმის ბავშვთა დახმარების ცენტრი** დაფუძნებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდის მიერ პროექტის **"ბავშვთა უფლებების იმპლემენტაცია საქართველოში: ბავშვთა დაცვა ძალადობისა და უგულებელყოფისგან"** ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით

პროექტი ხორციელდება **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოსთან** მჭიდრო თანამშრომლობით.

პროექტის პარტნიორია ბავშვთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია **დეფენს ფორ ჩილდრენ ინტერნაციონალი/ეკპატ ნიდერლანდები (DCI/ECPAT the Netherland).**

**საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი** არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს იმ სისტემების და მომსახურებების განვითარებას, რომლებიც ბავშვთა ძალადობისა და უგულებელყოფისგან დაცვას უზრუნველყოფენ. ფონდს სწამს, რომ ბავშვს აქვს უფლება გამოხატოს თავისი აზრი, წუხილი, მიიღოს დახმარება თუნდაც უფროსების ჩარევის გარეშე. ამიტომ ფონდი მხარს უჭერს ბავშვთა დახმარების სატელეფონო ხაზის განვითარებას.

**ბავშვებს და უფროსებს, რომლებსაც მათი ბედი აწუხებთ, შეუძლიათ დაგვირეკონ:**

**116 111**

ბავშვთა დახმარების ხაზი



საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდის ცენტრალური ოფისი:

ქ. თბილისი. ედიშერ მაღალაშვილის ქ. №4, ბინა 1.
ტელ.: (00 995 32) 2 421 422;
ფაქსი: (00 995 32) 2 421 423.
ელ. ფოსტა: info@phmdf.ge ;
ვებ. გვერდი: www.phmdf.ge